



სამუშაო ურნაღი

მუსვაჟი

(ძეგლება თორგონიშვილი ქრთხელ)

ქურნალის ფასი წელიწადში 3 ბაზ. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თოთო ნომერი ხელშე გასასყიდად 10 კაპ. || აღმას: თბილისი, ბარათისა, № 5.

წლიწადი გორგი

1910 წლიწადი.—1 თებერვალი.—№ 3.

შ 0 6 1 1 6 0

3. რცხილაძე	შარანდედ შინდვრის მოსავალი ტფილისისა და ქუ- თაისის გუბერნიისში	3
4. გულბათიშვილი	როგორ ექცევას ნიადაგი და წეალი ერთმანეთს	6
5. ცხადაძე	შინაური ცხოველების ავადმყოფისა და ექიმის	8
6. ხუნდაძე	გაზის გასხვდა	11
7. ონიკოვი	ქართული კიტრი	13
8. რცხილაძე	ახალი გუდიანი გარსევლავი	14

საყურადღებო ცნობები:

საშეალება ჭიათურების წინადმდებარები	15
სხალდ ბოსტნეული «პომატო»	—
მშარი როგორც წამიალი	—
როგორ უნდა ამოვილოთ მიწაში დარჩენილი ხის კუნძები	—
კართველის სიდამბლე	—
როგორ აგარილოთ შინაურ ცხოველს ბუზი, კლი, ბუზისებალი და სხვ	16
ჩჩჩილის წინადმდებარები	—
სანესტის წინადმდებარები	—

1910 წლიწადი.—1 თებერვალი.—№ 3.

მფლიონი, ელექტრო-მექანიკური წიგ. გამოც. ქართ. ამხ—სა, 1910 წ.



სამეურნეო კურნალი

არსავალი

(სტატუსი რო კვირაში ერთხელ)

წარსელ წელს ქვეყნის დაბიექტი წერილები შემდგრი პირებისა. — 3. აკრებისა, ა. აფხაზის, აგრძელის, გ. ახლშეილის, გ. ახლაქესი ლ. გოგნიერის, გ. გულაბათ შეილისა, ღ. გორთაშ შეილისა, უ. დედაშორ შეილის, ელექტრის, ბ. ერილა შეილისა, ქ. ჭალი შეილისა, ა. თავაშ უერისა, ე. იმსელანისა, ღ. ქანჩრისა, ე. ჭარბელა შეილისა, 3. ლორთული იმპერია, ღ. მინისა შეილისა, ს. მგალიბელი შეილისა. მ. მართა შეილისა, ვ. მჭედლი შეილისა, ქ. მაშელა შეილისა, გ. ნაცუკრი შეილისა, ც. ნ., ი. პა-ფი შეილისა, ვ. რცხილაშესი, მ. სემოხვევისა, პროფ. ა. ფორუნა კორისა, ე. შეკლისა, ი. წინამძღვარი შეილისა, ს. სტელაშესი, ე. ხარმალუ შეილისა, ქ. ჭახ შეილისა, ი. ჭორ-ჭოძეს და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვგბილაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კომ-პერიოდი რედაქციას სავალდებულოსა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის შერით გამბდებაზამა და სიმშვადეს მისცემს შრიმში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სკუპოვრობებს და არ შეუძლიან რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის წმარების შესახებ, და შემორჩენილი შესახებ, და შემორჩენილი შესახებ, ენას მეცნიერებით ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობის მოწყვეტულ არია: გოგებაშვილი ი., სარაჯაშვი-ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადაური უ., კარიქაშვილი დ., ბოლანაშვილი შ., დუდაბრიშვილი შ., ღამბაშიძე გ., ალაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საზრდოებლოდ.

ქურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-ნარჩენი (თუ არა დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორ-ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეა-მყოლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შემავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრძელების უველა სამეურნეო ნაწარმოების შექრენაგასალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-ქონი (ვენური ან ეკადემიური ასოთი) „განცხადებისა ღრმა ზაფრი“. წლიურ აბონემენტებისათვეს განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რეზული თე-ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრძელებე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ქურნალის ხელისმომწერლებს გაუ-ზავნის უფასოდ დამატება-ბრო შურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურალი დალიაზო ღის ვ მანეთი.

რედაქციის ადამიანი: თიფლის, ბარეთისა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქციორ-გამომცემელი 3. ი. ცხეილაძე

შერჩევები შესტურის მოსახლეობის გადასაცემის და კუთამსახის გადასაცემის შესახებ.

မျက်နှာရေး၊ ဆီရွှေချုပ်၊ မြန်မာစာတော်၊ ဖော်လုပ်စွာ၊ နှင့် ရှာတော်၏ ဂုဏ်ဆေးမှု

ଓଡ଼ିଆରେ ପ୍ରକାଶିତ

სოფლებს ირაგა და იგანოვეკა დაპკ-
რა ღიღმა სეტყვამ, რომელმაც მთლად
გააფუჭა პური, ქერი, სამინდი, ლო-
ბიო, სათიშები და განახევრა კართო-
ჭილი.

პურის ბლობად ერია გულაფ შუტა.
ყაჩანაში ბამბა გაფუჭდა უანგით. ასუ-
ნეთში გაჩნდა კალია, მავროშ ცოტა
იყო და მოსავალს მავდენი ვერა დააკ-
რინ-რა.

ଗୁଣିକେ ମାତ୍ରରେ, ଯାରୁଙ୍କ ମନ୍ଦିରରେ ଏହି
ମନ୍ଦିରରେ କୋଟି ଗୁଣ୍ଡା ପାଇଁ ଆଶୀର୍ବାଦ ଦିଲା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

გაზაფხული იდგა ცივი და მშრალი;
ზაფხული უწვიმო. თუმცა აქა-იქ რამ-
ჯენჯერმე დანაშა, მაგრამ მოსავალს
ვერა შეატყობინა-რა.

ନିର୍ମାଣ କରିବାରେ ପରିବାରଙ୍କ ଅନୁଭବ ହେଲାଏବେ ତାଙ୍କୁ ଆଶିଷ ଦିଆଯାଇଛି।

ଓৰুৱা, হ'ল গৱণবাস গাঢ়াৰহি। সেত্যুপোধ
শ্ৰেষ্ঠত্বে সেজ্যোল গুজৱার্কৰতসপু দাঙুৰা
পৰিত্বাতো, মাঘৰাম মনসাগৱল বেদৰা বৰ-
চনৰূপ।

სოფლებში რველი და ჯავა სი-
მინდს, სოფ. ქვემო-ხეითში პურს, მე-
ტადრე სარწყავებში, და ბაკურიანში
კართოფილს რაღიცა ობი-სოკოს ავად-
მყოფება ეტყობოდა.

ଭୁବନେଶ୍ୱର. ମତ୍ରେଣ ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କୁ-
ଲି ଏବଂ ଶାଫ୍ଟ୍‌ବୁଲାସ ବୈରିଝେଣ୍ଟ ନାହିଁବାରି
ଗଲିପା ଏବଂ ଫାରି ନ୍ୟାମ. ତିବାତିକୁ ଦା-
ଶୁଳ୍କ ବ୍ୟାମଦ ଥିଲାକି ଗାନ୍ଧୀବରିଙ୍କା ଥି-
ବାଲି, ଉପରେ କାରିତାଫୋଲି, ଏବଂ ଦେଖ-
ିଲାକି କି କେବଳ ଉପରେ ରାଖି ଦେଖି ଥିଲା
ବୈନଦିରେଖି ବେଳେ ଦାଶୁଳ୍କିତ୍ୟା, କିମି
ଥିଲାକି ଗାନ୍ଧୀବରିଙ୍କା ଏବଂ ଥିଲାକି-କି ମହାନାର
ଗାନ୍ଧୀବରିଙ୍କା ରାଷ୍ଟ୍ର ଅନୁଷ୍ଠାନି ନ୍ୟାମ.

სოფლებში გუდა, ხოდა, ხანჩალა და
კიმბარიანი სეტყვამ სულ რო ნაკლებ
700 მანეთის სათიბი წაახდინა და 2000
მანეთის ზარიალი მაინც მისცა ქრეს 60
დღესტინა ნახნააზე.

სიღნალის მაზრა. მინდვრის მოსა-
ვალი მაზრაში ზოგან საშუალო იყო,
ხოლო უფრო ბევრგან კი კარგი. ესე-
თი მოსავლიანობა იმითი აიხსნება, რომ
ჯეჯილობაში უჩვალ წვიმდა, შემდეგ
მშრალობა იყო და როცა ყანები პუ-
რიანდებოდა მაშინაც წვიმა საკმარი-
სი ჰქონდა. თიბათვის გასულს დაპკრა
სეტყვამ, მაგრამ მინდვრის მოსავალს
ურა დააკლო-რა.

თელავის მაზრა. გაზაფხული წებ-
მიანი, მაგრამ ციკი და ქარისინი; კოლ-
ეიანი ზაფხული; სეტყვებ და ქრისტე-
ლი. მინდევრის მოსაფილს მაზრაში ყვე-
ლებინ არისინ?



თიანეთის მაზრა. ისეთი უმოსავ-
ლობა იყო რომ ზოგან გასათიბათაც
არა მოვიდა-რა. მიზეზი ამისი უამინ-
დობაა. ცივი გაზაფხული, ტოლანთ
სოფელში თოვლი, დანარჩენ მაზრა-
ში დაუინებული წვიმები. გაზაფხულის
სიცივე გაყინა შემოდგომის ნათესო-
ბა და დაავიკინა გაზაფხულზე გუთნე-
ბის გატანა. შემდეგ საშინელი ცხელი
და გოლვიანი ზაფხული, რომლის გან-
მავლობაში მხოლოდ ერთხელ თიბა-
თვეში მოვიდა წვიმა, რომელმაც ზო-
გან ცუტაზე უშველა მოსავალს; მაგ-
რამ უფრო ბევრგან კი სრულებით ვე-
ჯაფერი. ასეთ უამინდობას ზედ მოჰ-
ყვა მარიამობისთვის სეტყვა, რომელ-
მაც სოფელ შაროხევში მთლიად გაა-
ნადგურა პურიც და ქერიც ისე რომ
40 დესეტინა ნახნავს სულ რო ცო-
ტა ერთი 2000 მანეთის ზარალი მაინც
მისცა.

ახალქალაქის მაზრა. მინდვრის
მოსავალი საშუალოდ მთელს მაზრაში
კარგი იყო. ოლაგ-ალაგ მშვენიერი მო-
სავალი მოვიდა. გაზაფხული ცივი და
მშრალი, ხოლო ზაფხული საკმარისად
წვიმიანი. შარანდელ სამოსავლო ხა-
ნაში მოსავლის დამაზარალებელი არა
მომხდარა-რა.

ახალციხის მაზრა. შარანდელ მინ-
დვრის მოსავალს უფრო უჩივიან, ვიდ-
რე აქებენ. კორესპონდენტებს უმოსავ-
ლობის მიზეზად გაზაფხულისა და ზა-
ფხულის ხანგრძლივი გოლვა მოჰყავთ.
მხოლოდ აქა-იქ, უფრო კი თვით ქა-
ლაქ ახალციხის მახლობლად მოსავალს
არა უჭირდა-რა, თიბათვის წვიმებმა გა-
მოაკეთეს. სეტყვას დაუკრავს სოფლე-
ბში ხაკარე, ტაძრისი, დგვარი, სადაც
კორესპონდენტების ჩევნებით დაახ-
ლოებით 6,000 მანეთის ზარალი მიუ-

ყენებია მინდვრის მოსავლისათვის. სოფ-
გარსანის მინდვრებზე იგივე სეტყვას
გაუფუჭებია არა ნაკლებ 3,000 მანე-
თის თვია. სეტყვითვე დაზარალებუ-
ლან აგრეთვე სოფლები უდე, აგარა
და სხვა.

შუთაისის გუბენი

ქუთაისის მაზრა. შარანდელ განსაკუ-
თებული უმოსავლობა იყო ქუთაისის
მაზრაში. მიზეზი ამისი უმაგალითო გო-
ლვა გაზაფხულზე და ზაფხულში. სა-
ცა კი ან წყარო იყო, ან პატარა ნა-
კალული ჩამოდიოდა კვლავ ყველგან
დაშრა, წისქვილები ილარსად მუშაობ-
დნენ. მთელმა ზაფხულმა ისე გაიარა,
რომ ორჯლის მეტად — პირველ თიბა-
თვეს და პირველ მარიამობისთვეს —
წვიმა არ გვინახავს. სიმინდის მოსავა-
ლი მთელს მაზრაში ძლიერ ნაკლები
იყო. გოლვის გარდა უმოსავლობას
ხელი შეუწყო აღმოსავლეთის მშრალმა
ქარმა. სოფელ გურიაში ესეც არ აკ-
მარა: თიბათვეში და სეკტენბერში მო-
ვიდა ორჯელ სეტყვა, რომელმაც 15
დესეტინა ნახნავზე მთლიად ამოაგდო,
თუ რამე იყო მოსული. სეტყვა სეკ-
ტენბერში ხომშიაც მოვიდა, მხოლოდ
არა გაუფუჭებია რა რადგან მინდვრის
მოსავალი უკვე ჩაკლებული ქონდა
ხალხს.

შორაპნის მაზრა. გაზაფხული თე-
ბერვალშივე დაიწყო; ხოლო მარტის
გასულს უეცრად თოვლი ჩამოყარა,
აცივდა, დილ-დილით ყინავდა. ასეთმა
უდარობამ ძალიან აენო მეტადრე გა-
ზაფხულის ნათესობას. სიმინდს ტარო
სრულებით არც კი გამოუტანია, ზო-
გიერთგან მხოლოდ ქეჩებს გამორჩენ. თევესმეტი კორესპონდენტიდან ცამე-
ტი უმოსავლობას იტყობინებიან, ორ-

შარანდეფი მინდვრის მოსავალი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში

ნი ახასიათებენ მოსავალს ორთაშუად და ერთი იწერება საშუალო მოსავალზე ცოტა მეტი მოვიდაო.

სეტყვა ყოფილა სოფელ მუხურაში, რამდენჯერმე დაუკრავს აგრეთვე სოფულებისთვის: **ამაშუკეთი, გორეშა და ქვადოური;** ყველგან ღიღი ზარალი მიუყენებია, მეტადრე სიმინდებისათვის. ხანგრძლივი გოლვის გამო მინდორში ბევრი მწერი გაჩენილა, რომელსაც ხორბლეული მცენარეები დიდად დაუზარალებია.

ზუგდიდის მაზრა. გულდასაჩაგრავი სანახაობა ჰქონდა სიმინდებს თითქმის მთელს მაზრაში. საცა დაცემული და მაშასალამე უფრო ცოტა ნესტინი ადგილი იყო, იქ უფრო ნიშანწყალი ჭრიყბოდა სიმინდა, ხოლო, რო თქოს კაცმა, კარგი მოსავალი არსად არ იყო ზაზრაში.

ბამბის მოსავალს კი არა უკირდა-რა. სოფ. **კირცხში** მოვიდა სეტყვა, მაგრამ არა გაუფუკებია-რა.

სოფ. **ახუთში** დიდი ზარალი მისცა სიმინდას ჯირყვალამ (მედვნივა). არავითარი საშუალება არ უხმარიათ ამ მტერის წინააღმდეგ.

სოფ. **კორცხელის** და დაბა **ზუგდიდის** მინდვრებზე რაღაც მაზარალებელი მწერი იყო გაჩენილი (ალბად სიმინდის ჩრჩილი იყო), რომელიც ფქვამდა და აფუკებდა სიმინდის მარცვალს. არც არა ამის წინააღმდეგ უხმარია ვისმე რამე საშუალება.

ლეჩხუმის მაზრა. შარანდელი მოსავალი ყველა ხორბლეული მცენარეებისა საშუალო იყო; ღოშის მოსაველი სჯობდა ყველა სხვა მინდვრის მოსავალს.

გაზაფხული წვიმიანი იყო, ზაფხული გოლვიანი.

ოზურგეთის მაზრა. ამ მაზრაში სიმინდისა და ღოშის სოფელ უმთავრესად. თავიდათავი მიზეზი უმოსავლობისა მთელს მაზრაში ხანგრძლივი გოლვა იყო. მოსავალს არა უკირდა-რა მხოლოდ მდინარე სუფსას ჩაყოლება. ოცდაოთხი კორესპონდენტიდან თორმეტი კორესპონდენტი ამბობს სიმინდი ძრიელ მცირდად მოვიდაო, რვა სოვლის მოსავალს ორთაშუად და ოთხი კი იქნებს კარგი იყოვო. ღოშის შესახებ ოთხი კორესპონდენტი ამბობს ცუდი მოსავალი იყოვო, რვა—ორთაშუაო, სამი—კარგიო. მეტი წილი კორესპონდენტები იწერებიან რომ ჩრჩილმა დიდი ზიანი მისცა სიმინდს.

რაჭა. გაზაფხული იყო საშინელი გოლვიანი, რის გამო სიმინდები მთლად გაფუკებდა. პურის მოსავალი მთელს მაზრაში საშუალო მოვიდაო.

სოფელ გებში ზაფხულში ყოფილა სეტყვა, რომელსაც 25 დესეტინა ქერისათვის 2500 მანეთამდე ზარალი მიუცია. თიბათვის პირველ რიცხვებში სოფლებში ცხმორი და ფსორი სეტყვას გაუნახევრებია ხორბლეული მოსავალიც და თივისაც. ზარალი ამ სეტყვით გამოწვეული უდრის დაახლოებით 20,000 მანეთს. სოფლებში სამიწოდაონიერი სეტყვამ 100 დესეტინაზე მთელი მოსავლის ერთი მეოთხედი, მეტი და არა ნაკლები, წაახდინა. ზარალი სულ რო ნაკლებ 1600 მანეთისა მაინც იქნებოდა.

სენაკის მაზრა. ოცერთი კორესპონდენტი არ იხსენიებს კარგ მოსავალს. თუ მოვიდა რამე ისევ დაბლობ ადგილებშით. უმოსავლობის მიზეზად ყველანი გოლვას ასახელებენ.

სოფელ **ჯალევში** სეტყვას გაუნახებია თამბაქოს მოსავალი. ყოფილა



აგრეთვე სეტყვა სეკტემბერში სოფელ ბომბოთში, მაგრამ არა გაუფუჭებია-რა, რადგან ჭინახული უკვე დაბინავებული ქონია ხალხს.

ჟველი ზემოთ აღნიშნულიდან აშეა-
რადა სხინს რომ შარანდელი მინდვრის
მოსაფალი მომეტებულ აღგილს უმთავ-
რესად გოლვას უნაცვალებია.

იგივე მიხეხი და მასთან ერთად
სხვადასხვა მწერ-ჭია-მატლები და სო-
კოები მინდვრის მოსავალს ჩვენში ხან
ძლიერ და ხან ოდნავ შესამჩნევად ყო-
ველწლივ აზარალებენ. ორთავეს წი-
ნააღმდეგ კი უნდა ვსთქვათ რომ ბრძო-

ლაც შეიძლება და თუ ყოველთვის
არა ბევრჯელ მაინც გამარჯვებაც ადგი-
ლია. ნაცადი გზა ასეთია: საცა ურწყა-
ვი ადგილებია იქ უნდა მეტი ყურად-
ღება მივაჭროთ თავის დროზე დაბარ-
ვას, გათოხნას, გამარჯვლას, ნიადგის
გაპატივებას; ამასთანავე უნდა მოუყა-
როლოდ და შევისწავლოდ ის მწერ-
ჭია-მატლნი და სოკოები, რომელნიც
აზარალებენ ჩვენს მოსავალს, და შე-
საფერის წამლით ვუწამლოთ. მმ ბრძო-
ლისაღმი უნდა იყოს მიმართული დღეს-
დღეობით ჩვენი ხალხის უმთავრესი ძალ-
ლონები და ყურადღება.

3. რცხილებები

როგორ ექვევიან ნიადაგი და წყალი ერთმანეთს

უაღეთ პატარა შუშის მილი ორივე
მხრიდან თავახდილი, გადუკარით ერთი
თავი ტილოთი, როგორც ერბოს ქილის
ან მურაბისას მოაკრავთ ხოლმე პირს,
ჩაყარეთ მილში ფხვიერი მიწა და ჩად-
გით მოკრული თავით წყალში. ნახავთ
რომ წყალი მილში პირველიდ მარდად
ამოვა მაღლა და მერე კი ნელ-ნელა
იწყებს მოსხლას როგორც ნავთი პატ-
რუქში ან წყალი დასხელებულ შაქრის
თავში.

რაც უფრო გამოშრალებულს ზი-
დებთ მიწას, იმდენად თვალსაჩინო იქ-
ნება წყლის ზემოთ ამოსვლა.

გარდა გამოშრალებისა წყლის ამო-
სვლა თვით ნიადაგზეტაც არის დამოკი-
დებული. სხვადასხვა ნიადაგიდან აღ-
ბულ მიწაში წყალი სხვადასხვა სიმაღლე-
ზე ავა მილში.

ოით პისწება ეს მოტლენა, რათ ამო-
სვიდა წყალი მიწით სავსე მილში მაღლა?

იყ რათ; ნიადაგს შემატებენ ელი ნა-
წილები ზოგან ძალიან არიან ერთმანეთ-

თან შეკოწიწებულნი და ზოგან კი მათ
შორის დიდი ფარდალიალებია დარჩენი-
ლი. შეკოწიწებულ ნაწილებ შორის,
რაც უნდა ძალიან იყვნენ ერთმანეთთან
მიკრულნი ეს ნაწილები, მაინც რჩება
პატარ-პატარა ფოსოები სიგანით $\frac{1}{4}$
მილიმეტრი და კიდევაც ამაზე უფრო
ნაკლები, რომელნიც წარმოაღენებ
კაპილიარებს*) და კაპილიარებში ხომ,
როგორც ვიცით, როცა კაპილიარის
კედელი სველდება წყალით, წყალი მაღ-
ლა ძირი უფრო, ვიდრე იგი ჭურჭელ-
ში სდგას. ამასთან რაც უფრო ვიწროა
კაპილიარი, იმდენი მეტ სიმაღლეზე ივა
წყალი მასში, ხოლო თვით ასვლა უფ-
რო მიმეტ-მშიმედ წლება, ვიდრე განიერ
კაპილიარში.

ჩვენ რომ უშუშის კაპილიარში ზე-
მოდან ჩაგვესხა წყალი და არა ქვე-
მოდან შეგვეღგა, მაშინაც წყალი იმო-
დან გადასახლდება.

*) კაპილიარს უწოდებენ თმის სიმსხვი მილს,
რომელსაც სიგანე $\frac{1}{4}$ მილიმეტრი ან ამაზე
უფრო ნაკლები აქვს.

დენავე მანძილზე ჩავიდოდა კაპილიარში, რამოდენზედაც ქვემოდან მაღლა ამოვიდა პირველ შემთხვევაში.

მიწაზე დასხმული ზემოდან წყალი კი მიღმი ბოლომდე ჩადის და მილიდან გამოიღვრება.

მიზეზი ამისი ის განლივთ რომ მიწაში თმის სიმსხო მიღების, კაპილიარების, გარდა განიერი ფოსოებიც არიან დარჩენილნი და აი სწორედ ეს ფოსოები შეადგენ წყლის გასავალ გზებს.

ამ მხრივაც ყველა ნიადაგი ერთნაირი არ არის. ზოგი ნიადაგი ისე და ფაცხავებული რომ წყალი ადვილად გადის და ზოგი კი მიგრაა შეკრული და ძნელად გაატარებს წყალს.

გამოკვლეული რომ ოც უფრო მსხვილი ნაწილებისაგან შესდგება ნიადაგი, იმდენად იგი უფრო კარგი გამტარებელია წყლისა. ხოლო, ცხადია, არც ერთი ნიადაგი არ გაატარებს წყალს მთლად, არამედ რაოდენიმე ნაწილს თოთონ მიღებს, შეისუტავს.

წყლის დამჭერი ნიადაგში ანუ როგორც იტყვიან წყლის ამლები არაა თიხა და ნეშომპალი. ნამეტნავად პირველი.

სუფთა თიხა ანუ აყალო მიწა წყლით რო გაიუნთება გაბუქდება ისე რომ ტანი 2—3 ჯერ მეტი გაუხდება. ხოლო როცა თიხა ლრმათა დევს ნიადაგში, მაშინ კი მას ესეთი გაბუქდება და ტანის გადიდება არ შეუძლიან, რადგან მაღლითა შრების ზედდაწოლით იგი ძალზე გაძეკილი, გაბუქებულსა და გაძეკილ თიხის შორის კი ის დიდი განსხვაებაა; რომ პირველი ცოტ-ცოტას მაგრამ მაინც გაატარებს წყალს და მეორე კი სრულებით არ არის წყლის არც ამლები, და არც გამტარებელი.

ამითი აიხსნება ის შოვლენა რომ, როდესაც მაღლიდან ჩასულს ნიადაგში თოვლის ან წვიმის წყალს დახვდება ზაბლა იყალო მიწა, წყალი მას ვეღარ გაატანს ხოლმე და ზემოდან მიმდინარეობს რომელიმე მიმართულებით. იმ სწორედ ამ წყალს ჰქვიან ნიადაგის წყალი, რომელიც ზოგან ისევ მაღლა ჰქვენავს — უბეთ დგება, ზოგან კლდეში სადმე პოულობს გამოსავალს — წყაროთ იწოდება და ზოგან ლრმათ ამოთხრილ ლრმობებში გროვდება, და კის წყალს ვეტყვით.

მაშასადამ საბუთი გვეძლევა ვსთქვათ რომ ის საამური წყაროს წყლები და ნაკადულები, რომელნიც ასე მშვენიერები ბლობათ არიან ჩვენს სამშობლოში, წვიმისა და თოვლის წყალს წარმოადგენ წყლი, რომელიც ჩასული ადვსმე ლრმად ნიადაგში ან იქვე ახლოს, სადაც გამოჩუხებულებენ, ან იქიდან ძრიელ შორს სადმე.

ჩვენ ვიცით რომ ნიადაგი ზემოდან შერება. თუ გოლვაა ჯერ ნიადაგს ზევითი პირი, უშრება, მეტყველება, ფანტაზია კაპილიარებით სილრმილიანც ამოდის ნიადაგის ნესტი ზემოთ და ორთქლობს. იმ სწორედ ამ შემთხვევაში უნდა მივასწროთ, მოვშალოთ ეს კაპილიარები, რომ ნესტის მაღლა ამოსვლა-ამოშრობა შეფერხდეს. კაპილიარების ჩაშლა-ჩაფუშვია და გამოგოლების შეჩერება ნიადაგის გაფხვიერებით შეიძლება. თუმცა თვით გაფხვიერებული ზედაპირი ნიადაგისა უფრო მაღლე ამოშრობა, ცილინდრიშინ რომ გაუფხვიერებელი დარჩენილობა, მაგრამ მაგიერამისა ეს ფხვიერი პირი ფარდაგსავით ეფარება ზემოდან ნიადაგში ჩარჩენილ ნესტს და არ უმვებს მაღლა ასაორთქლებლად. კაპილიარების, რომელთაც სინესტე ამო-

ჭონდათ მაღლა სიღრმიდან, თავები მოე-
შალათ, ფოსოები გაფხვიერებულ შრე-
ში გაგანივრდნენ და მაშასაუმე, თა-
ნახმად ზემოთ ნათქვამისა, წყალს ამო-
სვლა მაღლა ვეღარ შეეძლება, მაინცა-
დამიანც შედარებით ძრიელ ცოტალა
ამოვაამოშრება. რომ ეს ასეა, ამას
აშკარად ნესლერის შემდეგი ცდა გვი-
შტკიკებს.

ნესლერს აუღია ერთიდაიგივე ნია-
დაგზე 4 ნესტიანი თანაბრად ადგილი.
პირველი მათგანი გაუფხვიერებია რო-
გორც წესია; მეორე გაუფხვიერებია
შეოლოდ $\frac{3}{4}$ დუიმის (ერთ გოჯზე ნაკ-
ლებია) სიღრმეზე; მესამე გაუფხვიერე-
ბელი დაუნარჩუნებია, ხოლო ზემო-
დან ასაშრობი ქალალდი გადუფარებია;
მეოთხე არც გაუფხვიერებია და არც-
არა ზემოდან გადუფარებია. მერე რამ-
დენიმე ხნის შედეგე ეს ადგილები ნეს-
ლერს გაუჩხრეკნია და გამოუკვლევია
რომ წყალი ამ ადგილებს დაჰკლებიათ
აორთქლებით:

- 1) გაფხვიერებულ ადგილს.. 40%
 - 2) გაფხვიერებულს მხოლოდ
3/4 დუიმზე..... 45, 30%
 - 3) გაუფხვიერებულს ხოლო
ქალალდ გადაფარებულს. 45, 70%
 - 4) გაუფხვიერებელს და გა-
დაუფარებელს. 100%

არა ნაკლები საყურადღებო შედეგია
შილებული შემდეგი ცდითაც:

გაფხვიერებული ნიადაგისათვის ზე-
მოდან წაუტკეპნათ პირი 1 დუიმის
სისქეზე და უნახავთ რომ ესეთ მდგო-
მარეობაში ნიადაგი იმოდენსავე თურმე
წყალსა კარგავს, რამდენსაც მთელ თა-
ვის სისქეზე გამაგრებული ნიადაგი, ესე
იგი დაუბარავი ან გაუთოხნავი, დაკარ-
გავდა.

აქედან, მგონია, ნათლად სჩანს რა
უებარი წამალი ყოფილა გოლვის წი-
ნააღმდეგ მინტორში და ბალ-ვენახებში
თოხი და ბარი!

3. ഗൗളികാതിശ്വരില്ല

უნდა სისტემური განვითარების პროცესის და ეკიცხვის

ബന്ധം തൃപ്പൂണിഡി

ენაში ბევრი ნერვები და სისხლის
მიღებია, ამიტომ ენა ძლიერ მგძნო-
ბიარება და ყოველი ავადყოფა მისი
დიდ ტკივილებს გამოიწვევს ხოლმე.
ჩვენ აქ შემდეგ შემთხვევებს ავწერთ:
1) ენის ზედაპირის ანთება, 2) ლრმა
ანთება, 3) ხორინი ანთება, 4) ბუშთი
ენის ჭრიტეზედ.

1) ენის ზედაპირის ანთება

ენას გადაკრული ძეგლი ლორწოვანი კანი. ამ კანის ავალმყოფობის შესახებ ჩვენ პიველ წერილში ვკვანდა, ლაპარაკი. ის, რაც იქ ვსოდეთ, ენის ლორწოვან კანსაც შეეხება. იგივე მიზეზე-

ბი ავალმყოფობისა, იგივე მოვლა და
ექიმობა აქაც, რაც იქა გსთავით.

2) ლრმა ანთება ენისა

ზოგჯერ ანთება ლორწოიან კანი-
დან უფრო ღრმად მიღის ენის სისქე-
ში. ღრმა ანთებიანი ენა სიცხე მომა-
ტებულია, გასიებული, გამაგრებული;
გვერდები გაწითლებული აქვს, ლორ-
წოიანი კანი შემოლვლებილია. ცხოვე-
ლი პირდაღებული სდგას, საცოდავი
სახე აქვს; ენა ზოგჯერ გამოვარდნი-
ლი აქვს გარედ, საჭმელს ვერა სჭამს,
წყალს კი ხშირებირად სვამს, თუმცა
ყლაპვა მეტად უჭირს. ანთებიანი ენა
ზოგჯერ დაჩირქდება ხოლმე და ჩირქი

შინაური ცხრების ავადმყოფია და ექიმია

გადმოსდის. ზოგჯერ ენას რაოდენიმე ნაწილი კიდევაც წაახმება ხოლმე და კვლება.

მიზეზი. ღრმა ანთება ხშირად გავრცელებაა ენის ზედაპირის გაარჯობული ანთებისა. თუ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ არაფერი ზომები არ მივიღეთ, ანთება უფრო ღრმად მიღის ენის სისქეში. მაში უპირველესი მიზეზი ღრმა ანთებისა უნდა იგივე დავსახელოთ, რაც პირის ლორწოიანი კანის შესახებ ვსოდეთ: ხმელი და უნიკივრო საჭმელი; მწარე და მწვავე საჭმელი, სასმელი, ან წამალი; ობიანი, ტალახიანი, თრთვილიანი, ან ცხელი სასმელ-საჭმელი; მუხლუხოების ბუსუსები; ბევრი მარილი და სხვა ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც მეტად აზიანებენ ლორწოიან კანს. ამის გარდა ღრმა ანთება მაშინაც შეიძლება, როდესაც შემთხვევით რამე შეერქმება ენას (ნემისი, ლურსმანი, ჩხირი და სხვ.) ან დაიბეგვება და სხვა.

ექიმობა. ცხოველს უნდა მივცეთ სუფ-თა რბილი საჭმელი; ახლო უნდა ედგეს ციფი სუფთა წყალი რომ პირი მაღმალ დაისცელოს; პირს ხშირ-ხშირად გამოვურეცხავთ ბორის სიმებით (1 ჩაის კოვაზი 1 ჩაის სტაქან წყალში) და გამოვალებთ დღეში 2 ჯერ შემდეგ წამალს: 20 მისხალ სალიბს ჩავყრით 1 ბოთლ მდუღარე წყალში და ვადულებთ კიდევ $\frac{1}{4}$ საათს; მერე შივუშატებთ $\frac{1}{4}$ გირქვანეა ცხარე ძმარს და იმოდენასვე თაფლს. როცა გაცივდება ვიბერთ.

თუ ენაში ნემისი, ან სხვა რამე შეერქმული, ცხოველს დავიჭირთ მაგრად, გამოუწევთ ენას და თითებით გავსინჯავთ; თუ რამე აქვს; თუ ისე ვერ გამოვაძრობთ რაც შერქმია, შეიძლება

ენა გავჭრათ და ისე ამოვილოთ. პირს გამოურეცხავთ კრეოლინით (1 ჩაის კოვაზი 1 ბოთლ წყალში), ან ბორის სიმებით და ჭრილობაზედ მოვცხებთ საბურის ტინქტურას და მურის ტინქტურას თანაბრად ერთი-მეორეში არეულს.

თუ ენა ძლიერ გასივდა, სისხლი შეიძლება აერთვას ენის წვერშივე.

თუ ენას ნაწილი წაახმა და მოკვდა, ეს მკვდარი ნაწილი უნდა მოვჭრათ. მოჭრილ ადგილს მოვწვავთ სპილენძის შაბიამნით, ან ჯოჯოსეთის ქვას წაუსვამთ ზედ.

3) ხაოიანი ანთება ენისა

ხაო ენაზე ყოველ ცხოველს უჩნდება, აღაშიანსაც კი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მსხვილ-ფეხა მცოხნავ საჭმელსა აქვს (ხარს, ძროხას, კაშჩის). ენა დიდი ხნის განმავლობაში თანდათან მიგრდება, იხორკლება; ჰკარგავს ღრეკილობას, ფერს, ფორმას, საზოგალოდ წალის საძირე ტყავსა ჰგავს, აქა-იქ რგვალი კორძები (ხორკლები, მურზები), აზის ფერვის მარცვლის ოდენა, ხან კვერცხის ოდენაც და მეტიც, ფერით მოყვითალო და ცოტათი გამჭვირვალეა, ხელით რომ გავშინჯოთ ეს კორძები, ზოგი რბილია, ზოგი მაგარი.

ასეთ კორძები შეიძლება ენის გარდა სხვა აღგილებზედაც ჰქონდეს ცხოველს პირში (სასაზე, ლრძილებზე, ტუჩებზე, ლოყებზე, საყლაპავზე). ასეთს კორძებს პოულობენ აგრედვე სხეულის გარეთა კანზე და შიგნით ლორწოიან კანზედაც და სხვა აღგილას. ენა ხაოიანი ანთებით გამზღარი ავად ძლიერა სტკივა ცხოველს, საჭმელს ვეღარ ღვევავს, თუ მასთან კორძები, საყლაპავზედაც აქვს, გაშინ ხომ ვეღარცა ყლა-

ჰაეს, იმშევდა, სუსტდება და ხდება. ამნარად დაავადმყოფებულ ენას ჩვენში „ხომიან ენას“, ქართლ-კახეთში კიდე ვირდაპირ „ხოს“ ეძხიან.

მიზეზი. ხოს სოკო აჩენს, ომელსაც „აკტინომიცეს ბოვის“ (actinomyces bovis) ჰქვიან სახელად. ეს სოკო ისე წვრილი რომ შეიუძრავებელი თვალით ვერ გავარჩევთ. სოკო ჩაჰყება ხოლმე ცხოველს საჭმელ-სასმელში და საღმელორწოან კანში, უფრო საღაც ჭრილობა აქვს, ბინავდება და იწყებს გამრავლებას. ზემოხსენებული კორძები ანუ ხორჯლები აი ამ სოკოს ბუდეს წარმოადგენენ.

ექიმობა. ეს კორძები ენაზე ან სხვაგან, საღაც კი შეიძლება მიუღებელ, უნდა მოვჭრათ დანით და მოჭრილ ადგილის იოდის ტინქტურა მოუსვათ, ან მარტო დავსეროთ დანით და ჭრილობაზე იგივე იოდის ტინქტურა მოვცხოთ. შეიძლება კორძები მოვწვათ გახურებული რიკით, ან მარგიმუშით, ან ხრომის სიმუავით, ან კარბოლის სიმუავით. თუ კორძი უფრო ღრმად იოდის ენაში, მაშინ შეუშავუნებენ ან იოდის ტინქტურას, ან კარბოლის სიმუავეს, ან სპილენძის შაბიამნის ხსნილს (1 ნაწილი შაბიამნისა, 8 ნაწილ წყალში). სრულიად მიუდგომელი კორძების წინააღმდეგ ხმარობენ დასალევენებელ წამალს (მაგ. როცა კორძი საყლაპავზე აზის ცხოველს). 14 დღის განმავლობაში აუადმყოფს ყოველ დღე ასმევენ: $1\frac{1}{2}$ მისხალს იოდიან კალის $\frac{1}{2}$ ჩარქექ წყალში გარეულს. მერვე დღეს რჩენა დაეტყობა და ითადიან კალის ნაკლებს აიღებენ, (1 მისხალს). 14 დღის განმავლობაში ცხოველი მთლიად უნდა მორჩის.

ხომიანი ანთება გადამდები ავადმყოფაა. კორძი რომ გისჭრათ და იმაში მომწყვდეული ჩირქი კარგა მყოფ ცხოველს საღმე ჭრილობაზე მოვცხოთ, შეიძლება ეს ავადმყოფობა შევყაროთ. ამიტომ ავადმყოფი ცხოველი უნდა მოვაშოროთ კარგა მყოფებს, თორმე ავადმყოფობა სხვებსაც გადაედება. იმ რისთვის აძლევს ბეითლებს კანონი უფლებას და აკისრებს მოვალეობას ზედამხედველობინენ საკლავ საქონელზე და იუკრძალონ ხაოიან საქონლის დაკვლა და მათი ხორცის გაყილება.

4) ბუშთი ენის კლიტეზე

ენის კლიტის ცალ მხარეზე ცხოველს ზოგჯერ ბუშთი გამოებმება ხოლმე ხან კაკლის ოდენა (ძალლსა), ხან კვერცხის ოდენაც და მეტიც (ცხენს, ხარს, ძროხას). კანი ამ ბუშთს თხელი აქვს და გამჭვირვალე. ბუშთი ძალზე არის სავსე თხელი წბოლით, რომელიც თათარისავით (ფელამუშივით) სქელით და გამჭვირვალე. ბუშთი ისე სწრაფად იზრდება, რომ ამ ზრდას პირდაპირ უბრალო თვალით ვხედავთ. ცხოველს ყელში, უფრო სასულეული, სისხლი უგროვდება, სივდება, სუნთქვა უჭირდება, საჭმელს ვეღარა სჭინს, ცხოველი იგუდება და რამდენიმე დღეში კვდება.

მიზეზი ავადმყოფისა დღემდე გამოუკრვეველი რჩება.

ექიმობა. ბუშთი უნდა გაიჭრას და გამოირწყოს; თუ თავისით არ გამოირწყო, კოვზით გამოვსწმენდავთ, გავგანთ ბორის სიმუავით (1 ჩაის კოვზი ბორის სიმუავე 1 ჩაის სტაქნ წყალში) და მოვუსვამთ ზედ საბურის ტინქტურას და მურის ტინქტურას ერთმანეთში თანაბრად არეულს, ან სპილენძის შაბია-

მანს (1 მისხალი შაბიამინი 2 ჩაის სტაქან წყალში). ამის გარდა, გარედან გასი-
ებულ კისერზე შემოვადებთ კომპრესს
ასე: დავასველებთ წყალში ბაბბას, ან
ღამიერილ კენაფს ან რამდენჯერმე მო-
კეცილ ტილოს, გავწურავთ ცოტათი
და შემოვადებთ საქანელს გასიებულ
ადგილას ამის ზემოთ შემოვაფენთ
კლიონკას ან გასანთლულ მჩვარს ან

გაქონილ ჭაღალდს ან პარაფინიან ქა-
ლალდს; ამის ზევით კიდევ თბილს რა-
მეს შემოვაფენთ, შალს ან ფლანელს
ან ბაბბას ან კანაფს და შევუხვევთ,
კომპრესს ყოველ 6 საათში გამოვუც-
ვლით. კანაფის, ბაბბის, ან ტილოს
დასასველებლიდ თუ კარბოლიან ან
კრეოლინიან წყალს ვიბმართ უკეთესი
იქნება.

გ ცხადაძე

ვაზის გასხველა

ვიღრე პირდაპირ ვაზის გასხვლაზედ
დავიწყებდეთ საუბარს, საჭიროთ მი-
მაჩნეა, მოკლეთ გავაცნო მკითხველს
გასასხლავი დედა-ვაზის აგებულება.
ყველაზ ვიცით, დედა-ვაზს მიწაში ფე-
სვები აქვს და მიწას ზევით ჰაერში ტა-
ნი და ტანზედ კიდე სხვადასხვა წლო-
ვანობის და თვისების ლერწები*) და
რქები.—რაც შეეხება ფესვებს მათ ძა-
ლიან დიდი დაკვირვება და შესწავლა
აღარ სჭირიათ, მხოლოდ უნდა გვახ-
სოვდეს, რომ მიწა, რომელშიაც ვაზის
ფესვები არიან გაფანტულნი, ნოკიერი,
ფხვიერი და საკმიოო ნესტიანი უნდა
იყოს, რადგან ცხადია რომ მხოლოდ
ამ გვარ პირობებში შეუძლიან ფესვს
კარგათ ასაზრდოვოს ჰაერში მყოფი
ვაზის ნაწილები. ვაზის ძირი ტოტებს
ანუ ლერწებ ქვევით ხან მრგვალი
ფორმისაა, ხოლო უფრო ხშირად-კი
უსწორ-მასწორო და ხან პრტყელი
ზედა პირი აქვს. ვაზის ძირი უნით არის
შემოსილი, რომელსაც ორ წელიწადში
ერთხელ იცვლის. გარეთა ძველი კა-
ნის ანუ ქერქის ქვეშ მცენარეს ნორ-
ჩი კანი აკრავს, ამ კანს ლატანი მოს-
ტევს, ლატანს მოზარდი შე (კამბი),

*) ლერწი არის ვაზის ტოტი, რომელზე-
დაც ამოსულა 1—2 წლის რქები.

შემდეგ ხის ცალი იწყება, მერმე მერ-
ქნი და ბოლოს გულია. ყველა იმ
შრეებში და ქსოვილებში ძარღვები და
უჯრედებია გადამბმულ-გაფანტული.

ვეზის ქსოვილებ შორის თხელ გარს-
ში გახვეული ნერვები არიან, რომელ-
ნიც გამოიწვევენ ხოლმევაზის ტირილს,
როცა ვაზს რამე ჭრილობა მიეცება უდ-
როვოდ და უალავოდ. ძირის (შტამბის)
ზევით ვაზს ფორმა ეწყობა. ტანზედ ვაზს
ერთ, ორ და მრავალ წლოვანი ტოტი
აბია. ვაზის ერთ წლოვან ტოტს რქები
უწოდებთ, სამსა და მრავალ წლოვანს-
კი ლერწის. რქეს მუხლებზედ კვირ-
ტები აქვს. იმ კვირტის, რომელიც გა-
ზაფხულზედ ჩნდება და მეორე ვაზა-
ფხვლამდე კვირტათვე რქება, ზამთრის
კვირტი ჰქვიან; ის-კი, რომელიც გამო-
სვლისათანავე იშლება, იზრდება და
ყლორტს იძლევა; ზაფხულის კვირტათ
იშოდება.

ზოგი კვირტი ფოთოლს იძლევა, ზო-
გო ყლორტს, ზოგიც ყვავილსა და ნი-
ჟოფს. ამის მიხედვით მათ თავიანთ შე-
საფერი სახელები აქვთ: ფოთოლის კვირტ
ტი, კვავილის, ანუ სანაყოფე კვირტი
და ტოტის კვირტი. სუსტ, უძლურ
კვირტს მძინარე კვირტი ჰქვიან. მთელს
ტანზე ვაზსა აქვს. უჩინარი კვირტები,



რომლებიც, თუ შემთხვევით შეგროვდა მათთან საკვებავი წვენი, გაიღვიძებენ და ა წმირად ძალიან ღონიერ რქას გაზრდიან ხოლმე. ასეთ კვირტებს შემთხვევითი კვირტები ჰქვიანთ.

ზოგ რქას მუხლები ახლო-ახლო აქვს და ზოგს შორი-შორს. თითო წლის რქა უფრო ხშირად მრგვალი ფორმისაა, თუმცა ხანდახან დედა-ვაზი პრტყელს და ხორციან რქასაცა ზრდის.

თუ გასხლულ დედა-ვაზს დააკვირდებით, ადვილად შეამჩნევთ რომ ზოგი რქა ორ-წლოვანია მასზედ, ესე იგი შარანდელ რქაზედაა ამოსული, ზოგი მრავალ წლოვანია, ზოგ წლევანდელ რქაზედ კიდე ხშირად სუსტი რქებია გაზრდილი მოზამთრო კვირტის მეზობლად, რომელთაც ნამხრევს ან გერებს უწოდებენ.

ლერწი ან რქა გადაჭერით კვირტის ცოტა ზემოთ სწორედ და დაინახავთ რომ ერთი მუხლის გული მეორიდან განშორებულია მერქანით, რომელსაც დიაფრაგმას უწოდებენ.

ნაყოფს ანუ ყურძენს ისხამს ის ერთ-წლოვანი რქა, რომელიც ორ-წლოვან რქაზედაა ამოსული. რქა მრავალ წლოვან ვაზზედ ამოცენებული ნაყოფს არ იძლევა. ამიტომ ასეთი რქა სანაყოფოთ არ უნდა დავტოვოთ. მართალია ზოგჯერ ესეც გამოიტანს ხოლმე თითო-თრთლა მტევანს, მაგრამ ეს ანგარიშში მისაღები არ არის. აგრედვე არც ნამხრევი ვარგა მოსავლისთვის, ესეც უნდა შევაცალოთ ხოლმე ვაზს სრულებით.

ერთ-წლოვან რქებს გამოაქვთ კავებიც, რომლებსაც მხოლოდ მაშინ აქვთ შემცველობა, როცა ვაზი ზრდაშია: — ყლორტი კავის შემწეობით კიგოს ეკვ-

რება. გასხვლის დროს კავი უნდა შევაცალოთ.

ვაზი ისხვლება: მოკლედ, საშუალოდ, გრძლად და საკავებლად.

მოკლედ ვაზი მაშინ არის გასხლული, როცა ორ წლოვან რქაზედ ამოსული ერთწლოვანი რქა 2 ან 3 კვირტზეა გადაჭრილი, (სულ ძირის კვირტს სათვალავში არ ავდებენ). ესე მოკლედ გასხლული რქა ერთ ვაზზე ერთიდან ხუთამდე, ექვსამდე შეიძლება შერჩეს, მხოლოდ ერთიმეორეს მოშორებით და მიწის პირიდან ზევით ყველა ერთ მანძილზე უნდა იყვნენ დაშორებულნი. ეს მოკლე სანაყოფე რქები უმჯობესია ვაზის გარედ იყურებოდნენ.

საშუალოდ ნასხლავი ვაზი მოკლედ გასხლულ ვაზსა გავს, მხოლოდ სანაყოფე რქებს 3 ან 4 კვირტზე სხლავენ.

გრძლად არის გასხლული ვაზი მაშინ, როცა ორწლოვან რქაზე ორი ერთ-წლოვანი რქა აქვს შერჩენილი, მხოლოდ ერთი მათგანი, ქვევითი, სამ კვირტზეა გადაჭრილი და მეორე, ზევითი კი 5—6—7 კვირტზედ. პირელს ჰქვიან ნეკი ანუ სამამულე და მეორეს სანაყოფე ანუ საყურძნე.

ნეკი ყოველთვის საყურძნეზე დაბლა უნდა იყოს შერჩენილი, ნეკიდან მევენახე ნაყოფს არ ელის, თუმცა ხშირად ყურძენს ისიც ისხამს. როცა ვაზი ძალიან მაღლაა, ნეკი აუც შეიძლება დაბლა შეირჩენენ, რომ შემდეგში ვაზი დაბლა დაიწოს.

საკავებლად გასხლულ ვაზს ერთი ნეკი აქვს შერჩენილი და ერთიც საკავებელი რქა, რომელიც რეიდან თორმეტი კვირტამდე ისხვლება. თუ ვაზი ღონიერია ორ საკავებელსაც შეარჩენენ, ამითი დედა-ვაზს არაფერი დაუშავდება ას.

ვაზის სასხლავი იარაღი. ჩვენში სა-
სხლავად ძველის დროიდან სავაზეს ხმა-
რობენ, რომელზედაც ჩვენებურ მევენა-
ხეს მშვენივრათა აქვს ხელი შეჩვეული.
ახლა თანდათან ხმარებაში მაკრატელი
შემოდის (სეკატორი). ზოგიც პატარა
ნამგალა დანას ხმარობს.

ყოველი სასხლავი იარაღი მუშაობის
დროს ძალიან მჭრელი და პირწმინდა
უნდა იყოს, ამიტომ დანა იქნება თუ
სეკატორი საუკეთესო ფოლადის უნდა
ავარიით; რომ ჩქარა არ დაჩლუნგდეს
და მუშაობას არ მოგვაცინოს.

სიმარდით სეკატორს დანა და სა-
ვაზე ვერ შეედრება, მხოლოდ მაკრა-
ტელი რქის ცოტა შევავს. თუმცა აქ

საშიში ვაზისათვის არა არის-რა, მაგ-
რამ მანც რქა კვირტის მუხლზე ზე-
მოთ ცოტა მოშორებით უნდა გადაი-
კრას ხოლმე.

სხვლის დროს უსათუოდ პატარა ხე-
ლის ხერხიც უნდა გიქონიოთ. ხშირად
გამხარი სქელი რქა არის ხოლმე მოსა-
ხერხი, რომელსაც შემდეგ მჭრელი და-
ნით მოსუფთავება-მოსწორება სჭირ-
დება, რომ ჭრილობა უფრო ადვილად
შეხორცდეს. ამათ გარდა კარგი სა-
ლესავი და პატარა სამკუთხი ქლიბიც
საკიროა: სალესავით დანებსა და მაკ-
რატლებს დავლესავთ და ქლიბით კი
ხერხს.

ს. ხუნდაძე

ქართული კიტი

ეს რამდენიმე წელიწადია რაც მე
საცდელად რუსული რჩეული კიტრი
მომყავს. ამ გამოცდამ დამარტმუნა რომ
ჩვენებურ კიტრს ვერც ერთი ჯიში რუ-
სული კიტრისა ვერ შეედრება ვერც
გემოთი და სურნელოვანობით და ვერც
სხმოიარებით ან სინაზით. გარდა ამისა
ჩვენებური კიტრი აღრეც შემოდის და
არც იმდენა მოვლას, არც ისეთ და-
ნოყივრებულ ნიადაგს თხოულობს, რო-
გორც ყველა ეს არის საჭირო რუსუ-
ლი ჯიშის კიტრების მოსაყვანად.

ესეთი ჩემი დასკვნის შესამოწმებლად
მე წარსულ გაზაფხულს გავუგზავნე 2
გირ. თესლი ჩვენი ქართული კიტრი-
სა, რომელიც ყოველ წლივ მომყავს,
გავრცელებულს რუსეთში უურნალს:
„Прогрессивное садоводство и огород-
ничество“ და ვსთხოვე უურნალს დაე-
რიგებინა საცდელად თავის ხელის მომ-
წერლებისათვის ხოლო იმ პირობით კი,
რომ ვინც მიიღებდა თესლს, დაეთვინა

იგი და შედეგი ეცნობებინა უურნალის
საშუალებით.

მრავალ ქებათა შორის, რომელიც
მოუვიდა უურნალის რედაქციის დაგ-
ზავნილი თესლის შესახებ, მე მოვი-
ყვან აქ სიტყვა-სიტყვით მხოლოდ ინ-
უენერ-ტეხნოლოგ ბ-ნ ტიხამიროვის
უურნალში დაბეჭდილ სიტყვებს. ბ-ნი
ტიხამიროვი არის გამგე ქალაქ მოს-
კოვის სარწყავი მინდვრებისა.

„ქართული კიტრის თესლი, — სწერს
ტიხამიროვი, „რომელიც გამომიგზავნა
უურნალმა „Прогр. сад. и ог-вზ“ საცდე-
ლად დავთვეს მე ქვიშნარ ნიადაგში, რო-
გორიცაა ჩვეულებრივ მოსკოვის გა-
რეშემო ახლო იღგილებში, და ჩინე-
ბული მოსავალი მივიღე.

ნაყოფია სრულებით უხორკლო, ბოთ-
ლის მაგვარი მოყვანილობით ხოლო
ცოტა მოხრილი, მუქი მწვანე ფერი-
სი, სიგძით 31/4 ვერშოკი და მშვენიერი
გემოსი.

ფოთოლი აქვს ბარდს დიდრონი, მცრავი-მწვანე.

პირველი სხმა დაწყო გვიან, 15 მკათათვეს, ხოლო ამინდი რომ კარგი ჟესტრებოდა, ვფიქრობ, ბევრით აღრე დაიყვავილებდა და დაისხამდა.

პირველი შთაბეჭდილება ჩემი ისე-თია, რომ ამ ჯიშის კიტრი სანაქებო უნდა გამოვიდეს და როგორც დიუ მსხმოიარეს, იმედია, მოსკოვის ახლო-მახლო აღგილებში დიდი გასავალიც ეჭ-ნება თავისებური ფორმის და მშვენიე-რი გეშოს წყალობით.

მომავალ გაზაფხულზე ვფიქრობ დავ-თვის ეს კიტრი ბაზარზე გასატანად.

ვინც გაიგო და გაიცნო ესეთი ღირ-სება ჩვენებური კიტრის, ყველა თეს-

ლია მოხვეს და მე კი საშტაციოდ ყველა თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებ, ბევრს უარს ვეუბნები, რადგან არა მაქვს იმდენი თესლი, რამდენსაც თხო-ულობენ.

ამის გამო პატივცემულ ჟურნალ

„მოსაგალის“ საშუალებით მივმართავ ყველა იმათ, ვისაც ჩვენებური კიტ-რის თესლი აქვს, აცნობონ „მოსაგ-ლის“ რედაქციის რამდენი გირვანქა შეუძლიანთ მოიმხონ გასაყიდად, რომ რედაქციისვე საშუალებით შევატყო-ბინოთ მყიდველებს. ოლონდ თესლი ჩვენებური კარგი ჯიშის კიტრისა იყოს და კარგად იყოს არჩეული დამზადებუ-ლი და ფასს ნუ დაერიდებით.

კოტე თხიკოვი

ახალი პუდიანი ვარსკვლავი

გუშინ, პარასკევს, 15 იანვარს, სა-ლამოს 6 საათზე, კოჯრის გზიდან, მამა დავითის მთის სისწვრივ ცაზე პირვე-ლად დავინახე ეგრედ წოდებული „ახა-ლი“ კუდიანი ვარსკვლავი, რომელიც, თუ არა ვცდები, აგრე მეხუთე დღეა რაც ჩანს ტფილისში.

ხარიპარია, რომელიც იმ სალამოთი ჩვეულებრივ კაშკაშებდა მოშენდილ ცაზე, 45 წამით წინ იყო ამოსული.

კუდ-ვარსკვლავი იყო ჩრდილოეთის ვისკვლივის ტოლი, მუქი წითელ-ყვითელ ნარევი, ცოტათი ამღვრეული და არა კამკამებდა. თავისი გრძელი და განიერი შემჭვრტლული წითელ-ყვი-თელი კუდით ჰგავდა იგი შუშუნის, რომელიც დაქანებული ჩასავარდნათ, თითქო შემდგარიყო ჰერში ერთ ალა-გას. კუდი 25—30 საერთაშორისო რაოდი მტვერისაგან იყო შემდგარი და

მით უფრო გარკვეულად ჩანდა მოწი-თალო, რამდენიც თავისაკენ ახლოს დაკვირდებოდით; მოლოსაკენ კი კუ-დი ამღვრეული ყვითელ-ნარევი ცის-ფერისა იყო.

ესეთი სხვა შედარებაც მომდიოდა თავში: კუდ-ვარსკვლავა ჰგავდა მეტე-ორს ანუ ჩავარდნილ ვარსკვლავს, მხო-ლოდ არ იყო არც ისეთი პჲყერიალი და არც ისე უეცრიდ ქრებოლა ცაზე, როგორც მეტეორი ქრება. პირიქით იგი მთვარეებრ მძიმე-მძიმედ ჩადიოდა. განიერი, ბუნჩულა შელის კუდის შეგა-ვსი კუდი, ხარი-პარია ვარსკვლავი-საკენა პერნდა მოქნეულ-გაღმოშლილი, როგორც ალვის ხის ქოჩორს გადაზ-ნექს-გაღაშლის ხოლმე ნელი ნიავი. კუდ-ვარსკვლავა რომ ჩავიდა შისი კუ-დი ჯერ კიდევ კარგახნის (10—12 წამის) განმავლობაში ილეტდა თანდათან და შემდეგ გაქრა.



რომ ორთავეს შარიპარის და კულ-
ვარს კვლავის სინათლე შემძლებოდა
შემდეგინა, ამოვეფარე მთას ისე
რომ ხარიპარის მარტო შუქი დამენა-
ხა ცახე მხევნილი და თვით ჭარს-
კვლავი კი არ ვამოქენილიყო. უნდა
ესთქვა რომ კულვარს კვლავის უფრო
მეტი სინათლე ქონდა, ვიდრე ხარიპა-
რის, თუმცა ხარიპარია ერთიორად

ლილიც იყო კულვარს კვლავაზე და მუტა-
დაც ჰქონდებოდა გაცილებით.

ვუყურებლი უბრალო თვალით და
ბინოკლის შემწეობითაც. კულვარს კვ-
ლავი ცახე ჩანდა სულ 15 წამი, კული
მისი 23 წამი. ვიყურებოდი დასავლეთი-
საკენ და კულვარს კვლავი ჩემ თვალ-წინ
იქმ კული ჩემკენ, ხარიპარის მარჯვ-
ნივ 15—20 საუკის შოშეორით.

3. რცხილამე

საყურადღებო ცნობები

საშუალება ჭიანჭველების წინააღმდეგ.
ჭიანჭველების წინააღმდეგ იხმარება ნაცემ-
ლინი და კარბოლის სამუშავე. ჭიანჭველების წინ-
აღმდეგ მათგანში ბამბა და დააწყეთ რატაზედ
სხვადასხვა ალაგას. ჭიანჭველების საშინლათა
სძულთ ამ წილების სუნი, ამისათვის თავს
ანგებენ ძველ ბინას და სწევა ალაგებში იწყებენ
ჯარასახლებას.

გარდა ამისა იხმარება პირის ან პურის დუღი-
დედა, რომელსაც რუსულად დროის უწოდებენ.

ზოდეთ ქრონი წილი ამ ტუტიდებისა და
აუზიერი თოს წილ თაფლში ანუ შაქრის სი-
როვაში. შემდეგ დაასხით თევზებზედ და დაა-
წყეთ იმ ალაგებზედ, საიდგანაც ჭიანჭველები
ამოდიან. შესჭამენ თუ არა ამ ტუტილ წამალს
ჭიანჭველები, მაშინვე იჩოცებიან.

ახალი ბოსტნეული „პომატო“. როგორც
იწერებიან ამერიკიდნ ლიუტერ ბურბონს კა-
რთოფილის ლეროზე უზარებია მყრიბით პამი-
დორი და ამ ახალ გიბრიდზე შესანიშნავი ახა-
ლი ბოსტნეული მიული, რომლისთვისაც სა-
ტო დაურემ ვია. ეს ახალი ბოსტნეული სა-
ხელად „პომატო“ ხაზინახაზის პარიზისა ჰგავს თურმე,
ხორცი თეთრი აქვს კარტოფილივით და შუაში
რამდენიმე პატარა თესლი. გემოთი სხვადასხვა-
ნიარ ხილს მოვაგონებს ისე რომ ძნელია კა-
ციმა სთქვას რომელ ხილს უფრო წააგავს. ახა-
ლი მოწყვეტილი პომატო უმი კარგი საჭმელია,
მოხარშული უფრო მშევნიერია და კონსერვი-
სათვის კიდე საუკეთესო. უნდა ვიტიქროთ რომ
ეს ახალი ამერიკული ხილი ევროპის ბაზარზე
დაც მაღავ განდება და ბოსტნებშიაც მაღა-
ვაუწყებენ მოყვანას.

ძმარი როგორც ჭამალი. კარბოლის სიმ-
ურით დამწვარი კანი რავორც პრაფესიონი
კარლაციონი ამბობს, ადგილიად თურმე რჩება
ძმილი. დამწვარ ადგილს, დაგვეწვება თუ არა,
მაშინვე ძმარში დასველებული ტილო უნდა ვა-
დოთ და სილამწვრით წარმომდგარი სითერეც
გაიკლის და გრძნობიერებაც დაუბრუნდება
კანსაც და ლორწონიან გარსსაც.

თუ კარბოლის სიმუშავის დალევით მარწა-
მლა ვინმე, უნდა ნახევრად წყალგადარეული
ძმარი დაალევინოთ მაშინვე და მოპირებაო.

**როგორ უნდა ამოიღოთ მიწაში დარ-
ჩენილი ხის კუნძები:** კუნძების მიწიდან ამო-
დაყრელიად, საზოგადოთ რკინის იარაღს ხმა-
რობენ. მაგრამ ეს საშუალება ძირიათ ჯდებ
და ჯაფასაც ბევრსა თხოულობს.

არის უფრო ადვილი და იაფი საშუალება:
მიწაში დარჩენილი კუნძები ზევიდგან ბურაოთი
ან სატებით უნდა ჩახვერიტოთ ისე რომ სიგა-
ნით ნაჩერეტი იყოს ერთი და სიღრმით არი
გერმოკი. შემდეგ ამისა ნაჩერეტში კაზად
ჩაჭედეთ გვარჯილა, ზევიდგან ხისავე ნაჭრით
გაუკეთეთ სახურავი და სხვა გაუშვირთ პარა თვე.

ამ ხანის განმავლობაში გვარჯილა გაუჯდე-
ბა კუნძს. უკეთუ შემოდგომიდანვე ასე მოამზა-
დეთ კუნძები, მაშინ შეგიძლიათ გასაფხულზედ
მოუკიდოთ ცეცხლი. გვარჯილათი გაუღენთილ
კუნძებს მშევნივრად ეკიდება ცეცხლი და მა-
ლეც იწვებიან.

გრძნოფილის სადამპლე. ზოგჯერ კარ-
თოფილს მიწაში სიდამპლე უწინდება. რომ ეს
არ მოხდეს უნდა იმ ადგილს, სადაც კართო-



ფილის დარგვას აპირებთ ზემოდან კირი მო-
ფინოთ ისე, როგორც პურის ხორბლის თესლს
მოვფენთ ხოლმე როცა ვთესავთ, და ადგილი
დაფარტეთ.

ასე მომზადებულ ნიადაგში კართოფილი არც
სიღამილით გახდება ავად და ზამთარშიაც კარ-
გად შეინახება.

როგორ გვარიდოთ შინაურ ცხოველს
ბუზი, კოლო, ბუზანკალი და სხვა მწერა.
აიღეთ ტოლ-ტოლად ნავთი და ზეითუნის ზეთი
აურიეთ ერთმანეთში და წაუსვით ცხოველს
კანწვე. მწერი აღარ მივკარებათ.

ჩრჩილის წინააღმდეგ. ჩრჩილს ნავტალი-
ნის გარდა რკინის შაბამანიც კარგად ხოცავს.

ამიტომ სხვადასხვა მატყლეულობის გადასარ-
ჩენად ზაფხულში ჩრჩილისაგან რკინის შემი-
მანს აყრიან ზედ როგორც ნავტალინს მოვა-
ყრით ხოლმე.

სინესტრის წინააღმდეგ. სინესტრის მოსას-
პობლიად ოთახებში ღიანივრად გაახურებენ ახალ
აგურს ისე რომ ჭითლად ელვარებდეს, და-
წყობენ თითოეთითაც ციკ აგურებზედ და ჩა-
მოურიგებენ ფანჯრებს, კედლების კუთხეებს
და სხვაგან, ხადაც სინესტრე ემჩნევა. განურე-
ბული აგური ხარბად იზიდავს ნესტრს და აუ-
რობს ადგილს.

აგური ათჯერამდე შეიძლება გახურდეს,
მეტჯერ ყო არა.

განცხადება

სამაურნეო შურალი

მოსავარი

წელიწადი მეთვე

მიიღება ხელისმოწერა 1910 წლისა-
თვის. უურნალი გამოვა იმავე პრო-
გრამით. რედაქცია პირდება თავის
ხელის - მომწერლებს რჩეულ მცნა-
რების საუკეთესო თესლის გაზიანას
უფასოდ.

თუ შეძლებს რედაქცია, უურნალის
ხელისმომწერლებს წლის დამლევს გა-
უგზავნის. აგრელვე უფასოდ თითო
წიგნს — ბროშურას მეურნეობის რომე-
ლობები დარგიდან.

რედაქციის აღრეხი: თიფლის, ბარი-
თინსკა, 5. რედაქცია «МОСАВАЛИ».

სამაურნეო შურალი

მოსავარი

ერთ წიგნად უდა-კაზალი უურნა-
ლის ყველა 15 ნომერი აქამდე გამო-
სული. მსურველი და ადგიმობათ იმავე
2 მანეთში, რამდენიც წლის დამლე-
ვამდე ლირდა უურნალი.

მოსავარის რედაქციაში იყრდნა კულტური
მართული წიგნები:

**გ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკუ-
ლი ამოცანებისა (შემო ნა-
წილი) 50 კ.**

იმისივე (თარგმნი) ქიმია 3 რ. როსკო-
სი (შემო გამოცემა) 30 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების
წარსულიდგან და შევიცარის
ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემთხვევადი ტფი-
ლის სახელის სახელი უნივერსიტეტის სასარ-
გებლოდ არის დანიშნული).

კარიკული ვაჭის სანერგე კრიტიკულური

ქ. ქუთაისში

სანერგე მდიდარია უოველნაი-
რი კიბის ვაზებით და ამ მხრივ
პირველი ადგილი უჭირავს მთელს
რესეთში.

მსურველთ გაეგ ზავნებათ პრე-
ისკურანტი და განმარტებანი უზა-
სოთ.

რედაქტორი გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე